რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. · სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს
## დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) — — | 9 მან. | 6 თვით — — | 5 მან. |
| 11 თვით — — | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — | 8 მან. | 4 თვით — — | 4 მან. |
| 9 თვით — — | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — | 3 მან. |
| 8 თვით — — | 7 მან. | 2 თვით — — | 2 მან. |
| 7 თვით — — | 6 მან. | 1 თვით — — | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

27 ნოემბერს.

**ქრონშტადტი.** გუშინ გავიდენ აქედამ უკანასკნელნი სამზღვარ-გარეთელი ცეცხლის გემები; ზღვაზე ნავოსნობა შეიძლება გათავებულად ჩაითვალოს.

**ლონდონი.** იაპონიამ უარჰყო ჩინეთის წინადადება შესახებ კავშირის შეკვრისა საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ აღუთქვა კი, რომ ნებას არ მისცემს საფრანგეთის სამხედრო გემებს იაპონიის პორტებიდამ სურსათი და ნახშირი წაიღონ.

**კაირი.** ცრუ-წინასწარმეტყველის ჯარმა კიდევ დაამარცხა ეგვიპტელები სუაკიმის მახლობლად.

**პეტერბურგი.** ცნობა მიიღეს იმაზედ, რომ ოდესაში მოვიდა პეტერბურგის კომპანიის ცეცხლის გემი «პეტრე დიდი», 12,000 ჩაის ყუთით დატვირთული; ცურვის დროს ეს გემი რამდენჯერმე გადურჩა ღელვას და ცეცხლსა.

პეტერბურგში 1884 წ. 1-ი აპრილიდამ დაიწყება მიხეილის მანეჟში ხალხთაშორებრივი გამოფენა ბაღეულობისა.

## ერთი სახსარი ჩვენის სიმდიდრისა

თბილისი, 29 ნოემბერი.

ფილოქსერა უწყალო მტერსავით მიესია თითქმის მთელს ევროპას, იმ ნაწილს მაინც, სადაც დალოცვილმა ბუნებამ დალოცვილი ვაზი აღმოაცენა. საფრანგეთის ვენახები განახევრდა და ყოველ-წლივ ფილოქსერის საბძანებელი თან-და-თან მატულობს. სხვა ქვეყნებსაც არ აკლიათ ეს უეცარი უბედურება და თუმცა ყოველგან ყოველგვარს ღონის-ძიებას ხმარობენ მის მოსასპობლად, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთს ფილოქსერას წინად რამდენიმე მილიონი ფრანკის ღვინო გაჰქონდა საზღვარს იქით და ეხლა კი ჩარხი დატრიალდა და არამცთუ გააქვს, ყოველ-წლივ რამდენიმე მილიონისას პირ-იქით თითონვე ჰყიდულობს.

სადაც კი ფილოქსერას ჯერ თავისი უხილავი, მაგრამ უწყალო ნისკარტი ვაზის ქერქისათვის არ ჩაუჭერია, იქ ღვინისა და ვენახების გაკეთების ზრუნვას ერთი ათად უნდა უმატონ. თუ უწინ იქ ღვინო ერთად ფასობდა, მალე ხუთად და ექვსად დაფასდება, რადგან მოთხოვნილება ისევ უწინდელი რჩება, თუ კიდე არ მატულობს და წარმოება კი ფილოქსერის წყალობით თან-და-თან კლებულობს.

ჯერ-ჯერობით ჩვენი ქვეყანა გადარჩენილია ამ საშინელს მწერს და აი ეხლა უნდა ვუმატოთ ჩვენს წარმოებას და ვეცადოთ, რომ ჩვენი ღვინოები, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით მეტნიც დადგნენ და უკეთესებიც.

ამ საგანზედ დაბეჭდილია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ანგარიშში წერილი თ. ზ. ჯორჯაძისა ამ სათაურით: «უმთავრესნი ღონის-ძიებანი კავკასიის ღვინის-კეთების გაუმჯობესებისა». ავტორი, სხვათა გარემოებათა შორის, სამს საგანსა სთვლის აუცილებლად საჭიროდ, თუ გვინდა, რომ ღვინის წარმოებას ჩვენში ფართო გზა მიეცეს. პირველი ესა, რომ აქციზის წესი შეიცვალოს, თორემ ეხლანდელ წესის კვალობაზედ თვით-მწარმოებელთ ყოველივე ღონის-ძიება მოსპობილი აქვთ ჭაჭითა და თხლით სარგებლობისა. მეორე გარემოება ის არის, რომ გზები გაუმჯობესდეს და მაშინ, თუ ეხლა ვენახებს ათასი და ორი ათასი დესიატინა უჭირავთ, ხუთი-ათასს და ათი ათასს დაიჭერენ. მესამე საგანი, რომელზედაც ბ. ჯორჯაძე მიაქცევს განსაკუთრებულს ყურადღებას, არის ღვინის-კეთების სკოლის გამართვა. ამ უკანასკნელ საგანზედ გავაჩერებთ ორიოდ წამით მკითხველების ყურადღებას, რადგან პირველ ორ საგანზედ «დროებაში» ხშირად გვქონია ლაპარაკი.

საქმე ის არის, რომ, როგორც სამართლიანად ამბობს ბ. ჯორჯაძე, ვენახის მოვლისა და ღვინის-კეთების სკოლა უნდა გაიმართოს უეჭველად კახეთში, როგორც ღვინის დედაქვეყანაში. სკოლისათვის არ არის საჭირო ცარიელის მიწის მიზომვა და ახლად ვენახების გაჩენა. ეს ბევრს დროს მოითხოვს, შორს გაწევს. ძალიან კარგად შეუძლიან მთავრობას ამ სკოლისათვის ვისგანმე კერძო ვენახი შეისყიდოს, ან სახელმწიფო მამული გადასცეს. ამასთანავე ბ. ჯორჯაძე სწორედ პრაქტიკულს და ადვილად ასასრულებელს აზრს წარმოსთქვამს. სრულიად საჭირო არ არის, რომ ამ სკოლისათვის დიდროვანი შენობები ააგონ და საქმე დიდის ამბით დაიწყონო. უბრალო შენობა საკმარისია და სწავლაც უფრო პრაქტიკული უნდა იყოსო. მხოლოდ ზამთარში ორი სამი თვე თეორიული სწავლა იქნებაო.

ამის დასამტკიცებლად, თუ როგორ ადვილია ვენახის მოვლის სწავლება და მასთანავე როგორ საყურადღებოა ეს საქმე, ბ. ჯორჯაძე დაგვისახელებს შემდეგს ფაქტს. ვიდრე ნაცარი გაჩნდებოდა კახეთში დესიატინაზედ 300—600 ვედ. ღვინო მოდიოდა და ეხლა კი, რაც ნაცარი შემოგვეჩვია, 100-150 ვედროზე მეტი აღარ მოდის. ნაცრის წამალი ფხვნილი გოგირდის შეყრაა და თუმცა ამ საქმისათვის 15 მანათი საკმარისია დესიატინაზედ, მაგრამ კახეთში არ ახმარებენ, რადგან არ იციან, როგორ შეაყარონო. ამის სწავლებას კი დიდი ჩიჩინი არ მოუნდებაო.

ბ. ჯორჯაძის აზრი მართლა რომ შესანიშნავია და სასურველი იქნებოდა, რომ ამ საქმისათვის, თუ სხვას არავის, ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას მაინც თავისი ყურადღება მიექცია.

## შინაური ქრონიკა

ქუთაისში სემინარიის დაარსების თაობაზედ ჩვენი კორესპონდენტი გვწერს: «გურიის სამღვდელოება თავის გარდაწყვეტილებისამებრ წრეულობით ოთხი-ათას მანეთამდის გადასდებს. რაკი სინოდმა თავის მხრით 200,000 მანათი შესწირა და სემინარიის დასაარსებლად საჭიროა მხოლოდ 333000 მან., დარწმუნებული უნდა ვიყვნეთო, მთელი სამღვდელოება გულით მოინდომებს, რომ ეს საქმე მალე დაბოლოებული ნახოს და იქნება სრულის ჯამაგირის შეწირვაც არ დაიზაროსო».

ხვალ, პირველს დეკემბერს, ქუთაისში დაიწყება ფრიად საინტერესო საქმე შინაურ ექიმის თურმანიძისა, რომელსაც ძალად მუცლის წახდენას აბრალებენ.

ქალაქში დიდი მზადებაა იმ ბალისათვის, რომელიც ექვსს დეკემბერს იქნება გამართული მთავარ-მმართებლის სასახლეში. ბალში მომეტებული ნაწილი სტუმრებისა სხვა-და-სხვა კოსტიუმებით იქნებიან და დიდი-ხანია, რაც შეუდგნენ კოსტიუმების მზადებას. ერივე და სხვა მოდის მაღაზიები კერვას ველარ ასდიან. ამბობენ ამ ბალზედ დიდ-ძალი ხალხი დაესწრებაო.

მთებში დიდი თოვლი მოსულა. კავკავის გზაზედ დუშეთამდის თურმე მარხილებით (სანებით) დადიან, რადგან კარეტები ველარა მუშაობენ.

ამ დღეებში მკითხველებს შევატყობინეთ, რომ მიშჩენკოს საქმე ხელმეორედ უნდა გაირჩეს, რადგან უწინდელი გადაწყვეტილება ოლქის სასამართლოსი უმაღლესმა სამსჯავრომ დაარღვია. ამას შეგვიძლიან დავუმატოთ, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ 26 ნოემბერს გადასწყვიტა მისჩენკოს ხელმეორედ დატუსაღება.

«კავკაზი» გვატყობინებს, რომ 25-ს ნოემბერს ქალების გიმნაზიაში

გადაუხდიათ პანაშვიდი განსვენებულის თ. დიმიტრი ჯორჯაძის მოსახსენებლად. განსვენებული 1878 წლიდამ თავმჯდომარედ იყო მოსწავლე ქალების შემწეველ საზოგადოებისა.

## «დროების» კორესპონდენცია.

### რაჭა-ლეჩხუმის ამბები.

17 ნოემბერს.

გუბერნატორის მობძანება რაჭაში.— ბოროტ-მავნებელ პირთა დამსახელებელი კომისიის ამორჩევა და მისი შედეგი. — ხალხის იარაღის ჩამოხდა.— ცხენ-ჯორის აღწერა და მისი გაუგებრობა.—ლეჩხუმის თავად-აზნაურობა და მათი ხევის-თავობის საქმე.—გაზეთი «მწყემსი» და ჩვენი სოფლელი მღვდლები.—ცრუმორწმუნეობა რაჭა-ლეჩხუმში.—

გათავდა დრო მოლოდინისა. წარსულის თვის პირველ ნახევარში მობძანდა რაჭაში ახალი სამხედრო გუბერნატორი ქუთაისისა გენერალი სმეკალოვი. რაღა თქმა უნდა, ვისაც კი ცოტა მაინც რამ გაუგონია რაჭველების ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ, ის უჩვენოთაც ადვილად მიხვდება, თუ რა მხიარულებითა და იმედებით აღჭურვილი შეეგებებოდა უმრავლესი ნაწილი ხალხისა თავის ახალ გუბერნატორს, რომელზედაც ბევრ-გვარი იმედები იყო დამყარებული და რომლისაგანაც ბევრს კარგსა და სასარგებლო განკარგულებას მოელოდა ჩვენი ხალხი. სამწუხაროდ, გუბერნატორი ძალიან ცოტა ხანს დარჩა რაჭაში... ბატ. გუბერნატორი წსორედ იმავე პროგრამით აპირობს ჩვენს მაზრებშიაც მოქმედებას, რა პროგრამითაც ბათუმისა და გურიის ოლქებში მოქმედებდა ხოლმე. უმთავრესს განკარგულებად ჩაითვლება გუბერნატორისაგან მიმართვა საზოგადოებისადმი, რომ ამ უკანასკნელმა, თუ კი სურს მყუდროდ ცხოვრება, ამოარჩიოს რამოდენიმე პატიოსანი პირი, რომელნიც აღწერენ თითოეულად ყველა ბოროტ-მომქმედთა და საზოგადოების შემავიწროებელთა წევრთა, სია წარმოუდგინონ მას და იგი დაუყოვნებლივ განაშორებს საზოგადოებას.

მოისმინეს თუ არა ამ გვარი წინადადება გუბერნიის უფროსისა, დატრიალდენ ჩვენი რაჭველები და თუმცა სრულად არ ყოფილა საზოგადოება თავ-მოყრილი, მაინც შეუდგენ დამსახელებელი კომისიის ამორჩევას. თქვენს მტერს აღეძრას ისეთი შიშის ქარი, როგორიც ამორჩეულ პირებს აეძრათ ტანში: რა ბძანებაა, ჩვენ რომ ყველა ისინი დავასახელოთ, რაც ჩვენს მაზრაში ცუდი და მავნებელი პირებია, ხომ არც ერთ დღეს არ მოგვარჩენენ ცოცხალსაო. სანამ მათ მთავრობა ხელში ჩაიგდებდეს, ან ცოლ-შვილს ამოგვიწყვეტენ, ან გადაგვწვენო,—ამბობდენ თურმე ისინი. მაგრამ როდესაც გუბერნატორის უკანასკნელი აზრი შეიტყეს შესახებ იმისა, რომ ვინც ამ შემთხვევაში უარს იტყვის, ცუდად იქნება შენიშნულიო, შემდეგ კი დასთანხმდენ, მიიღეს ფიცი და შეუდგენ მაშინვე საქმეს. ეს საქმე, როგორც თვით გარემოება თხოულობს, დიდი საიდუმლოებით უნდა ყოფილიყო გარემოცული. რომელმა კომისიის წევრმა რომელი დამნაშავე აღნიშნა ეს არ უნდა გამოსულიყო სახალხოდ, მაგრამ როგორღაც ვერ მოუხერხებიათ კომისიის წევრებს და მეორე დღეს თითქმის ყველამ იცოდა—ვინ ვინ დაასახელა მავნებელ პირად.

ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია ერთი ალიაქოთი, და სოდომგომორა როგორც ცუდათ დასახელებულ პირთა, აგრეთვე მათ ნათესავთა და მომხრეთა შორის. სადაური მიუდგომელი მსჯელობა არის ეს კომისიის წევრების მხრითაო, უკანასკნელნი პირ-და-პირ კერძოობით მოქმედებდენო; მავნებელ პირთა აღნიშვნის დროს თავიანთ ნათესავებს,—ზოგმა ძმას, ზოგმა შვილს, ზოგმა თავის ნათესავსა და მეზობელს კალთა გადააფარეს და ვისთანაც პირადი რამ ანგარიშები ჰქონდათ ის აღიარეს საზოგადოების მავნებელ პირათაო. განსაკუთრებით ერთს წევრს კომისიისას ბ. ა. წ—ძეს ძალიან ემდურიან, რადგანაც ეს უკანასკნელი პირ-და-პირ პიროვნულის ანგარიშებით ხელმძღვანელობდაო, ვისთანაც რაიმე პირადი უკმაყოფილება ჰქონდა, იმას ასახელებდა საზოგადოების დამღუპველ პირათაო.

რამდენად მართალია, კომისიაზედ დაყრილი ხმები, ამას შემდეგი გამოაჩენს... არ იქნებოდა ურიგო, რომ მათ ორმოცისა და ასის კაცის დასჯის გარდაწყვეტისათვის ერთი კვირა მაინც მოენდომებინათ და უფრო კარგად, დაწყნარებულად მოეფიქრათ ამ საგანზედ. მაშინ ხომ საზოგადოების სამდურავს უფრო ადვილად აიშორებდენ თავიდამ.

ხშირად მოხდება ხოლმე რომ, ერთი ზნეობასა და პატიოსნებას მოკლებული პირის ურიგო, სამარცხვინო მოქმედება გახდება საფუძვლად ასისა და ათასის უმანკო არსების სახელის გატეხისა და ღირსების დამდაბლებისა. აი უახლესი მაგალითიც ამისა: რამოდენიმე ზნეობა-მოკლებული პირის მოქმედებამ, უადგილოდ იარაღის ხმარებამ ჩვენს ხალხს ჩამოხადა მისის დაარსებიდამვე მასთან შეკავშირებული, ძმად აღიარებული იარაღი. გუბერნატორის განკარგულებით აეკრძალა ხალხს იარაღის ტარება; თუ არ მაზრის უფროსის ნება-მიცემით, ისე თავის სახლიდამ გარეთ ვერ გამოიტანს, ვერ დაიკიდებს იარაღს! განკარგულება ამ თავითვე მოყვანილია სისრულეში დღეს; ჩვენს მაზრაში დაიარაღებულ კაცს ვერ შეხვდებით. ღმერთმა ინებოს, ეს წამალი მოსახდენი გამომდგარიყოს და ამით ავ-კაცობა და კაცის-კვლა მოსპობილიყოს ჩვენში(?)

კარგი ხანია, რაც ჩვენს მაზრებში დაიარება მთავრობის მიერ დანიშნული მოხელე, ზომავს და სწერს საზოგადოებაში იმ ცხენებს, რომელნიც მის ზომაზედ მოდიან. ამ გარემოებამ ბევრ-გვარი ჭორიკანაობა გამოიწვია, მეტადრე დაბალ ხალხში: ზოგი ამბობს უთუოდ ცხენებზე ბაჟს გვაწერენო, ზოგი კი იმ აზრისა არის, შეიძლება მთლათაც გამოგვართვანო; თუ ეს არა, აბა რათა ზომავენ ჩვენ ცხენებსაო. ზოგი კი, რომელიც უფრო მიხვედრილობასა და შორს მჭვრეტელობას ჩემობს, შემდეგი აზრისა არის ამ შემთხვევაში: ევროპის საპოლიტიკო ჰორიზონტზედ ამ უკანასკნელს ხანებში რაღაც შავ-შავი ღრუბლები იკრიბებაო და ეს ცხენების ცნობაში მოყვანა მისი მიზეზი უნდა იყოსო. რომელი ამათგანის აზრი უფრო სწორეა, ამის გარჩევა თვით მკითხველისთვის მიგვინდვია.

იაფად არ დაუჯდა ლეჩხუმის თავად-აზნაურობას და განსაკუთრებით საწყალ გლეხობას ხევის-თავობის დაარსება: სულ ცოტა ხანს გაუვლია მას შემდეგ, რაც პოლიციის პრისტავებმა გამოუცხადეს ზემო-ხსენებულ საზოგადოებას, რომ მათ წარადგინონ თავიანთ ნებით თუთხმეტი ათასი მანეთი ფული ხევის-თავებისათვის ჯამაგირში მისაცემად; და თუ თავის ნებით არ შეიტანენ ამ ფულს, იმ შემთხვევაში ეგზეკუციის საშუალებით გარდაგახდევინებთო. ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა ჩვენი გულ-წრფელი თავად-აზნაურობა. რა ამბავია, რა დაგვემართა ესაო, შესჩივის ერთი მეორეს, თუთხმეტი ათასი მანეთი ვინ დაუნიშნა ხევის-თავებსაო!? გვაჩვენონ ჩვენგან დადგენილი განაჩენი ამ საგანზედ, თულა სადმე არის და იქ გამოჩნდება ყველაფერიო. ხევის-თავები თუ თხოულობენ ფულად სასყიდელს, მათი ნებაა, ჩვენ ამ საგანზედ კომიტეტი გვყავს, ისინი გაუწესებენ თავიანთ შრომის შესაფერად ჯამაგირს და ჩვენ მზათა ვართ დავაკმაყოფილოთო, თორემ თხუთმეტი ათასი მანეთი და ხევის-თავების ჯამაგირი სადაური ანგარიში არისო. რაიცა შეეხება გაწერას, ეგ ხომ ჩვენს გამწერლებს ძალა-უნებურად მოაწერინეს მაზრის სამმართველოში ერთი სამად იმ აზრით, რომ ბანკის დასაარსებლად საჭირო ფული თხუთმეტი ათასი მანეთი შემდგარიყოვო. ბანკი ვერ დავაარსეთ და ამ ფულს რისთვის გვახდევინებენო. ზოგიერთნი, თითქმის უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა გულ-წრფელად აღიარებს თავის შეცდომას და ამბობს სახალხოდ: ღმერთმა ხომ იცის, მართალია, ჩემი ხელი აწერია განაჩენს, მაგრამ რას მომაწერინეს ხელი, — ეხლაც არ ვიციო.

მაგრამ მოხელენი მაინც თავისას არ იშლიან და რადგან ჩვენს საზოგადოებას ამის დღენის თავი არა აქვს, ფულები მზად უნდა იქონიოს... მართლა გასაკვირველია და საყურადღებოა ეს გარემოება: თუ მართლა საზოგადოებისაგან შედგენილს და ხელ-მოწერილს განაჩენში განმარტებით არა სწერია, რომ ხევის-თავებს მიეცეთ საზოგადოებისაგან ათას-ხუთასი თუმანი, იმ შემთხვევაში რა საფუძვლით ახდევინებენ საზოგადოებას ამდენს ფულს?!

მადლობა ღმერთს, ამ უკანასკნელ ხანებში თითქო სჩნდება ცოტ-ცოტა საიმედო ნიშნები შესახებ იმისა, რომ რამოდენიმე ნაწილი ჩვენი სამღვდელოებისა იღვიძებს ლიტერატურის შესახებ, და გონებითი მოძრაობის ასპარეზზედ გამოდის. ვისაც ცოტა რამ მაინც გაუცვნია ჩვენი წარსული ისტორიული მდგომარეობისა, იმან კარგად იცის ის ჭეშმარიტება, რომ სამღვდელოება იყო სალარო ჩვენის ერისა, როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო სწავლა-განათლებისა და გონების განვითარებისა.

ერთ-ერთ საიმედო ნიშნად ჩვენი თანა-მედროვე სულიერი მამების (ჩვენ ვამბობთ მდაბალ სამღვდელოებაზედ) მეცადინეობისა უნდა ჩაითვალოს მათგან საჭიროდ ცნობა და დაარსება თავიანთ სასულიერო გაზეთისა. რაღა თქმა უნდა, ვისაც ცოტათი მაინც ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჭკუა-გონებაზედ, და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მისი ზნეობითი წარმატების შესახებ რიგიან საფუძველზედ დამყარებულს სალიტერატურო ორგანოს, ის ჩვენთან ერთად მხიარულებით შეეგებება ამ მოვლენას. ჩვენ იმ რწმუნების ვიყავით, როდესაც გაზეთი «მწყემსი» დაარსდა, რომ დღემდის სალიტერატურო ორგანს მოკლებული ჩვენი სოფლელი მღვდლები მოუთმენელის ინტერესით შეეგებებოდენ თავიანთ გაზეთსა... ღმერთმა ინებოს, რომ ეს აზრი გაზეთს «მწყემსზედ» მალე შეეცვალოთ ჩვენ სოფლელ მღვდლებს და მიეყოთ ხელი ჟურნალ-გაზეთების კითხვისათვის.

ცრუ მორწმუნეობა ერთი ისეთი საძაგელი სენია ადამიანის ზნეობისა, რომ არც ერთი ფიზიკური ავადმყოფობა არ შეედრება,—ის საშიში ჭირია როგორც მართლ-მორწმუნეობისა, ეგრეთვე ადამიანის ყოველ გვარი ზნეობისა; ის ჩრჩილია ადამიანის ტვინის და დამცემი მისი ეკონომიური ყოფა-ცხოვრებისა. ეს სენი საკმაოდ შეასუსტა ჩვენი საუკუნოს მეორე ნახევარის სწავლა-განათლებამ, მაგრამ, სამწუხაროდ, კიდევ სჩნდება აქა-

იქ მისი ნიშნები. აი მაგალითად: ჩვენი მაზრის ერთი სოფლის მცხოვრებნი დარწმუნებულნი ყოფილან, თუ აღდგომა დილას ლიტონიის დროს ვინმე გაჩერდა ეკლესიაში და ხალხმა ეკლესიას ირგვლივ შემოუარა, ვინც ეკლესიაშია დარჩენილა, იმისი და იმის სახლში მყოფების ჭირი და ფათერაკი ეკლესიის გარს შემომვლელთ მიეცემათო. ეს ცრუ-მორწმუნეობა უფრო დედა-კაცებში ყოფილა ფესვ-მოკიდებული და ხშირად ლიტონიის დროს ათიდამ თუთხმეტამდის გაჩერდებიან ეკლესიაში და შემოივლებენ თავზედ ხალხსა. ჩვენ თვითონ დაესწარით ერთს შემთხვევას: როდესაც მღვდელი, მომზადებული ლიტონიისათვის, გამოვიდა ეკლესიის კარებში, შეიქნა ერთი ხმაურობა და ალიაქოთი ხალხში ზემო-ხსენებული მიზეზისა გამო. მეორე ამისთანავე ცრუ-მორწმუნეობაა ლეჩხუმში: იქ მტკიცეთ სწამთ, რომ ადამიანებში კუდიანი არის, რომელიც შეჯდება ლამყ კატაზედ, ან მკელზედ, შეიძლება ცოცხზედაც, კატის, ან მგლის სახეს მიიღებს, შევა ვის ოჯახშიაც სურს და იქ გულს ამოსჭამს ადამიანს. ერთის გლეხისას შევიდა თურმე ვახშმობის დროს კატა; სახლის პატრონმა გადაკრა ზურგზედ ჯოხი; კატა გავარდა გარეთ. მეორე დღეს მეზობლის სახლიდამ გამოვიდა მოხუცებულობისაგან წელში მოკაკული მოხუცი, რომელიც წელის ტკივილს უჩიოდა. კატის გამლახველი დარწმუნდა, რომ ეს მოხუცი იყო ის კატა, რომელიც იმან წინა-ღამეს გალახა. ეს ყოფილა ის კუდიანიო, რომელიც ჩვენ გვანადგურებსო. ამ რწმენის შემდეგ, თვითონ იფიქრეთ, რა თვალით დაუწყებდა მთელი სახლობა ყურებას საბრალო მოხუცს. მივაქცევთ ამ საგანზედ ჩვენი სულიერი მამების ყურადღებას. მათი ვალია ამ გვარ უსაფუძვლო რწმუნებათა გაქარწყლება და ძირის ამოფხვრა.

ქაიხოსრო გელოვანი.

## რუსეთი

— ხარკოვიდამ ბარონ კორფის დასაფლავების შესახებ, რომელიც 15 ამ ნოემბერს მოხდა, იწერებიან «რუსკი კურიერში»: «განსვენებულს ანდერძი აუგეს კაფედრალურს ეკლესიაში და შემდეგ წაასვენეს სასაფლაოსკენ. კუბოს თავი მიჰქონდათ სახალხო სკოლების მასწავლებელ-ქალებს, ხოლო კუბო, რომელზედაც მრავალი გვირგვინები და თაიგულები ეწყო, სოფლის მასწავლებლებს. პროცესიის წინ მოჩანდა უშველებელი გვირგვინი, მორთმეული სახალხო სასწავლებლებისაგან, რომელთ წამარტებისთვისაც იღვწოდა განსვენებული მთელი თავის სიცოცხლე. თუმცა ცუდი დარი იყო, მაგრამ ბევრი ხალხი დაესწრო მის დასაფლავებას. საზოგადოდ ახალ-გაზრდობა ბევრი მოჩანდა პროცესიაში. ამ დღეს ელემენტარულს სკოლებში სწავლა არ იყო და მათი შეგირდებიც იქ იყვნენ».

— ამბობენ, რომ «გოლოსის» უწინდელს რედაქციას განზრახვა აქვს ისევ გამოსცეს ეს გაზეთი მომავალი წლის პირველ იანვრიდამ.

— «სიბირის გაზეთის» სიტყვით, ტომის უნივერსიტეტის გეთებას 1885 წლამდინ მოუნდებიან.

## უცხოეთი

— მკითხველებმა იციან, რომ ეხლა ეგვიპტეში საშინელი ბრძოლაა ეგვიპტის მმართებლობის და ვიღაც ცრუ-წინასწარმეტყველის შუა. ამ ცრუ წინასწარმეტყველმა ერთხელ ისე საშინლად დაამარცხა ეგვიპტის ჯარი, რომ, თუ გაზეთებში მოყვანილი ამბავი მართალია, მთელი რაზმიდამ მარტო თოთხმეტი კაციღა გადარჩა ცოცხალი. კაიროდამ მოსული დღევანდელი ტელეგრამიდგან შეიტყობს მკითხველი, რომ ცრუ-წინასწარმეტყველს კიდევ ხელ-მეორედ დაუმარცხებია ეგვიპტის ჯარი სუაკიმის მახლობლად. ეხლა ყველას ეს ცრუ-წინასწარმეტყველიღა აქვსთ სალაპარაკოდ, და, უეჭველია, ჩვენი მკითხველებისთვისაც საინტერესო იქნება — შეიტყოს ვინ არის ეს კაცი, რომელმაც ასე უეცრად მთელი დედა-მიწის ზურგზე ამისთანა ალიაქოთი მოახდინა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ბევრი არავინ არა იცის ამ ახალი გმირის პიროვნების შესახებ და ამისათვის ჩვენც მარტო ის ცნობები უნდა ვიკმაროთ, რომელნიც გაზეთებშია დაბეჭდილი.

ცრუ-წინასწარმეტყველის ნამდვილი სახელი მაჰომედ-ახმედი არის; დაბადებულა დანგოლის მაზრაში; მამა მისი ერთი წვრილშვილი და ამის გამო ღარიბი დურგალი ყოფილა. მაჰომედ-ახმედი მშობლებმა პირველად მიაბარეს ერთს მეგემეს, რომელიც ცუდად თურმე ეპყრობოდა მას და ყოველ-დღე ცემა-ტყეპას არ აკლებდა; ამისათვის პატარა მყოობადი გმირი გაიქცა სოფელ ხაგალიში, რომელიც ხარტუმის მახლობლად მდებარეობს, და იქ სასულიერო სასწავლებელში (მედრესეში) შევიდა, რადგანაც სურვილი ჰქონდა ბოლოს დერვიშად გამხდარიყო. ეს სასწავლებელი წმიდა შეიხის ხაგალის საფლავთან იყო. შემდეგ ამისა, როდესაც ახალ-გაზდა მაჰომედ-ახმედმა წერა-კითხვა ისწავლა, სხვა სასწავლებელში გადავიდა და 1870 წელში ფაქირ ნურ-ელ დაიმმა (საუკუნო ნათელი) შეიხად აკურთხა. ამ დროიდგან იწყება მაჰომედ-ახმედის მოქმედება. ამის შემდეგ განდგა იგი თეთრის ნილოსის პატარა კუნძულზე, აბბაზე, კლდეში, მღვიმე გაიკეთა და, როგორც დერვიშებმა იციან, დაიწყო მარხულობა, ლოცვა და დერვიშულად დღეში ოთხჯერ უწოდებდა ყოვლად-მძლესა ღმერთსა. მაჰომედ-ახმედს ნელ-ნელა სიწმიდის სახელი უვარდებოდა, და, რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთი პატარა საზოგადოება შეადგინა; ფულს ბლომად შოულობდა და დღითი-დღე მოწაფეთ რიცხვიც ემატებოდა. მაჰომედ-ახმედი ამასთანავე თავის ჭკარემ-ხანაზედაც ზრუნავდა: იმან შეირთო მდიდარი შეიხების ქალები და, რომ ყორანის აზრი, რომელიც ოთხი ცოლის შერთვის მეტს ნებას არ აძლევს, არ დაერღვია, ხნიანს ცოლებს უშვებდა და მათ მაგივრად ახალ-გაზდა, ლამაზს ქალებს ირთავდა. როგორც წინასწარმეტყველმა, მაჰომედ-ახმედმა ორი წელიწადია, რაც მოქმედება დაიწყო: შეჰკრიბა თავის მომხრენი, გამოუცხადა, რომ ის არის წინასწარმეტყველი, მეხდი, რომლის მოსვლაც თვით დიდებულმა მაჰმადმა იწინასწარმეტყველა, და თავის მოქმედების პროგრამა აუხსნა. ამ პროგრამის დედა-აზრს შეადგენს — საზოგადო თანასწორობა, საზოგადო ქონება, ყველასათვის ერთნაირი კანონები და სარწმუნოება. ამასთანავე მაჰომედ-ახმედმა გამოუცხადა, რომ ის, ვინც არ დაემორჩილება მას, სიკვდილით დაისჯება, მუსულმანი იქნება, ქრისტიანი, თუ წარმართი — სულ ერთია. ამის გამო იმან სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შეიხს მაჰმედ-სალიხს ყველა მისი დერვიშებიანად; მაგრამ მაჰმედ-სალიხმა არ იმდომა სიკვდილი, როგორც მეხდი უბძანებდა, და ეგვიპტის გუბერნატორს აცნობა მისი წადილი. აი ეს მაჰმად-სალიხის ღალატი შეიქმნა მიზეზად ეხლანდელი ბრძოლისა.

— სოფიიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ სახალხო კრება ამ თვის 26 შეუდგებოდა თავის საქმეების განხილვას, და ამისათვის პოლკოვნიკი კაულბარსი დარჩება იქ კიდევ რამდენსამე კვირას.

— იქიდამვე იწერებიან, რომ მთავარმა ალექსანდრემ ხელი მოაწერა ბძანებას, რომლის ძალითაც რუსის ოფიცრები ისევ უნდა მსახურებდნენ ბულგარიის ჯარში. თუ ეს ამბავი მართალია, მაშასადამე, რუსეთსა და ბულგარიას შუა ეხლა სრული თანხმობა ჩამოვარდება, რადგანაც თავი-და-თავი მიზეზი მათის ერთიერთ შორის დავისა თითქმის ეს საგანი იყო.

— როგორც ვსწერეთ, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სამზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, სხვათა შორის, ბისმარკიც ნახა; ამ შემთხვევიდამ ყველამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ რუსეთი და გერმანია ისევ დამეგობრდენ ერთმანეთშიო. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ამის შემდეგ თვით იმპერატორმა ვილჰელმმაც გამოაცხადა, რომ რუსეთი და გერმანია კარგად არიან ერთმანეთთანაო. გირსმა კალნოკი არ ნახა და ეს გარემოება იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ რუსეთი უკმაყოფილოდ არის ავსტრიაზედაო.

ერთის გაზეთის ვენელი კორესპონდენტი კი იწერება — პეტერბურგიდგან მოსული ცნობებიდგან სჩანს, რომ გერსი ვენაშიაც ყოფილა [illegible] ნად მიაჩნიათ იქაო, რომ ვენის და პეტერბურგის კაბინეტებს შუა ყოველივე უთანხმოება მოისპო და ისევ მეგობრული განწყობილობა დამყარდაო.

— ლონდონში პეტერბურგიდგან მიუღიათ ტელეგრამა, რომლიდგანაც სჩანს, ვითომც რუსეთის მმართებლობას მალიან აშფოთებდეს ჩინეთსა და საფრანგეთს შუა აუცილებელი ომი. ინგლისური გაზეთები იწერებიან — რუსეთის მმართებლობას გონ-კონგიდგან ამბავი მოუვიდა, რომ გაი-ფონგში დიდი ომი იყოვო.

— რომიდგან მოსული ამბებიდგან ვტყობილობთ, რომ იქ ამას წინად კარდინალების კონგრეგაციის კრება ყოფილა საფრანგეთის ეხლანდელი მდგომარეობის განსასჯელად. ეს კონგრეგაცია მეორედ იკრიბება თურმე ამავე განზრახვით. ეტყობა, რომ ვატიკანი აღარ ხუმრობს და საფრანგეთს მძიერს ბრძოლას უპირობს. ეხლა კონგრეგაციას იმაზე აქვს ლაპარაკი, თუ როდემდის უნდა მისდიოს კიდევ ვატიკანმა კონკორდატს საფრანგეთის შესახებ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

უფულობის დროს. ორი ამხანაგი ერთმანერთს შეხვდებიან ქუჩაში. — აი მიიღე, შენი ფული რომ მმართებს, ეუბნება პირველი. — მართლა, მე კიდევაც გადამავიწყდა, უპასუხებს მეორე. — რატომ ადრე არ მითხარ, თუ კი გადაგავიწყდა?...

—

გლახა-ამპარტავანი. ერთი მდგმური ეუბნება ამაყად თავის მეზობლებს: თუ ჩემმა სახლის პატრონმა თავისი სიტყვა არ გადასთქვა, ჩემი ფეხი ამ სახლში აღარ იქნება. — მერე რა გითხრა? — იმან მითხრა... კარგი იქნება, სხვაგან მონახავდეთ სახლსაო.

—

კარგი რეკომენდაცია. ერთს საზოგადოებაში ლაპარაკი ჩამოვარდა ერთს ცრუ კაცზედ, რომელზედაც ყველანი ცუდსა ლაპარაკობდენ.

— სცდებით, ბატონებო! იმას ავი თავის დღეში არავისთვის არა უქნია, — სთქვა ერთმა, — ამიტომ რომ ვისაც კი დაელაპარაკება, ყველანი მიხვდებიან ხოლმე, რომ ერთი სიტყვაც არ დაეჯერება.


# განცხადებანი

## თბილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1-ს დეკემბერს გამგეობის თანადასწრებით მოხდება ვაჭრობა ავლაბრის მიწის იჯარით გაცემაზე. ის ადგილი არის 229 დესეტინა 1560 ოთხ-კუთხი საჟენი და შეიცავს ვაჯს. მიიცემა იჯარით 1884 წლის 1-ი იანვრიდგან 1887 წლის 1-ს იანვრამდინ. (3—3)

## ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—4) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

---

## СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

### ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

## ГАЗЕТА

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа— общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—7)

---

## ქუთაისის თავად-აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკისა.

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 29 დეკემბერს ამა 1883 წლისა, დილის 12-ს საათზე, ქ. თბილისს, თბილისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის სადგომზე (სოლოლაკის ქუჩა, თ. გრუზინსკის სახლები № 13), საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ-იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკში უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შეუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად მე 19 § იმავე წესდებისა, შეასრულებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო აღნიშნულის ვალებით ზედ დამატებით შეუსრულებელთა გადასახადთა, მამულის გასასყიდლად დანიშვნის ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულებისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის მაგივრად დაუხარჯავს.

გრძელ ვადიანნი თავნი ვალები ბანკისა შეიძლება მოსპობილ იქმნენ ამ ბანკის გირავნოს ფურცლებით სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად, და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველებზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა შეუსრულებელი ფულები (ნედოიმკა) უნდა მოსპობილ იქმნენ ნაღდი ფულით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა შეუძლიათ განიხილონ ბანკის სამმართველოში შეფასებითი აღწერილობა და სხვა საბუთები გასასყიდელთა მამულთა.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, თანახმად ბანკის წესდების მე 24 §-ისა, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1884 წლის იანვრის 17 რიცხვისათვის.

### $18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

### ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ბალის ქუჩაზე, სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი 25998 მან. 45 კაპ., შესავს. გადასახადი 1808 მან. 82 კაპ. სულ 27807 მან. 27 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას-ძის, კოლლეჟსკი ასსესორისა: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 103993 მან. 77 კაპ. შესავს. გადასახადი 6369 მან. 51 კაპ. სულ 110363 მან. 28 კაპ.

მათივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე, ქვითკირის დუქნები და მიწა, 1259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 112650 მან. 95 კაპ., შესავს. გადასახ. 6899 მან. 52 კაპ. სულ 119559 მან. 47 კაპ.

მათივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე, სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მაღაზიები და მიწა, $243^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 112659 მან. 95 კაპ., შესავს. გადასახადი 6899 მან. 52 კაპ. სულ 119559 მან. 47 კაპ.

ბელოისა, ევგენი ტიმოთეს-ძის კოლლეჟსკი ასსესორისა: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მაღაზიებით და მიწა, 118 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 52460 მან. 69 კაპ., შესავს. გადასახადი 4079 მან. 98 კაპ. სულ 56540 მან. 67 კაპ.

ბარათაშვილისა, ნინო ალექსანდრეს ასულის, თავადისა: 1 განყოფილებაში, 11 ნაწილში, ახალ ბებუთოვის და კონსულის ქუჩებზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20247 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახადი 1748 მან. 54 კაპ. სულ 21996 მან. 52 კაპ.

ბაბაევისა, დავით ვასილის-ძის, მოქალაქისა: 2 განყოფილებაში, 11 ნაწილში, ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიან სახლები, მაღაზიები და მიწა, 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20247 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახადი 1364 მან. 21 კაპ., სულ 21612 მან. 19 კაპ.

ბექანბეკოვისა, ალექსანდრა თომას ასულის, ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივისა: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიანი სახლები, ფლიგელ-თურთ, და მიწა, 335 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 34256 მან. 01 კაპ., შესავს. გადასახადი 3227 მან. 49 კაპ. სულ 37483 მან. 50 კაპ.

გუსიკოვისა, ივანე სერგია-ძის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში, ქუჩაზე, რომელიც მოდის ერევნის მოედნიდან სოლდათის ბაზრისაკენ, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლები, მაღაზიები და მიწა, 192 კვ. საჟ.; თავნი ვალი 69027 მან. 22 კაპ., შესავს. გადასახადი 6340 მან. 73 კაპ. სულ 75367 მან. 95 კაპ.

ლიპინსკისა, რომუალდ-ალექსანდრე ფრანციის-ძისა, კოლლეჟსკი ასსესორისა: 2 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე. ორი ქვითკირის ერთ-ეტაჟიანი სახლები, ფლიგელებითურთ, და მიწა, 527 კვ. საჟ.; თავნი ვალი 11044 მან. 36 კაპ., შესავს. გადასახადი 812 მან. 25 კაპ. სულ 11856 მან. 61 კაპ.

სტეპურენკოისა, პელაგია კონდრატის ასულის, გადამდგარის მაიორის მეუღლისა: 1 განყოფილებაში, 1 ვერიის ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 350 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,169 მან. 05 კაპ., შესავს. გადასახადი 629 მან. 26 კაპ. სულ 12,798 მან. 31 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის-ძის, მოქალაქსა: მე-2 განყოფილებაში, მე-8 ნაწილში, ჩუღურეთში, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,885 მან. 09 კაპ., შესავს. გადასახადი 1202 მან. 53 კაპ. სულ 14,087 მ. 62 კ.

ქონიევისა, გრიგორი გექანის-ძის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლღას ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მაღაზიები და მიწა, 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,870 მან. 42 კაპ., შესავსებ. გადასახადი 1082 მ. 52 კ. სულ 17,952 მ. 95 კ.

იოსელიანისა, იასონ სოფრომის-ძის, პოდპოლკოვნიკისა: 2 განყოფილებაში, 10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მეზონინებით, ბალი და მიწა, 221251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 28609 მან. 10 კაპ.; შესავს. გადასახადი 1534 მან. 50 კაპ. სულ 30143 მან. 60 კაპ.

### თბილისის გუბერნიის მისივე მაზრისა.

### $43^{1}/_{2}$ წლიანნი სესხნი.

მაღალოვისა, დავით იოსების-ძის, პოლკოვნიკისა: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1967 მან. 68 კაპ. შესავს. გადასახადი 158 მან. 27 კაპ. სულ 2125 მან. 95 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იოსების ასულის, კოლლეჟსკი რეგისტრატორის ქვრივისა: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2960 მან. 16 კაპ., შესავს. გადასახადი 233 მან. 60 კაპ. სულ 3193 მან. 76 კაპ. (3—3)

Дозв. цензур. Тифлисъ, 29 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.